

ინფექციური დაავადებები და მათან დაკავშირებული
რწმენა-წარმოდგენები აფხაზეთში

ნინო ხარჩილავა

ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი
ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტის
სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ-
თანამშრომელი
E-mail: kharchilavanin@gmail.com

*წარმოდგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი
ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. თანამედროვე აფხაზეთის მოსახლეობის ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენათა შორის საყურადღებოა ინფექციური დაავადებები - ბატონები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ბატონები ინფექციური დაავადებების ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ბატონების ტიპის სწეულებათა სახელებს ტრადიციულ საზოგადოებებში მოკრძალებით ახსენებდნენ, რაც მათ ღვთაებრივ ბუნებაზე მიანიშნებდა. ეთნოგრაფიული მასალებით ბატონები ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზებია, რომელთა მოვლისა და განკურნების სრულიად განსხვავებული წეს-ჩვეულებებია შემორჩენილი. ბატონების დაბრძანებისას ავადმყოფს იზოლირებულ ოთახში აწვენდნენ და ცდილობდნენ მისი ყველა სურვილის დაკმაყოფილებას. თუ ბატონები გაბრაზდებოდნენ და ავადმყოფი შეწუხდებოდა, სრულდებოდა მობოდიშების რიტუალი.

აფხაზეთში ბატონებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც მთელ საქართველოში მდიდრი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დამოწმებული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითაა განპირობებული. ბატონებს განასხვავებდნენ სირთულის, სიმძიმის მიხედვით. თითოეულ დაავადებას

თავისებური სიმპტომი ახასიათებდა და გართულების შემთხვევაში შეიძლებოდა რამოდენიმე წლითაც დარჩენილიყვნენ ავადმყოფთან.

საკვანძო სიტყვები: ინფექციური დაავადებები, ბატონები, აფხაზეთი.

ბატონები ინფექციური დაავადებების ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც აერთიანებს შვიდ სახეობას და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული [ზედგენიძე, 1946:32; სახოკია, 1956:24; მინდაძე, 1981:117; მინდაძე, 2001:115; ჩირგაძე, 2002:44; ნებიერიძე, 2004:86; Чурсин, 1957:207-211; Пантюхов, 1867:137-138]. ბატონებთან დაკავშირებით აფხაზეთში ისევე, როგორც მთელ საქართველოში მდიდრი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებებია დამოწმებული, რაც ამ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითაა განპირობებული. ინფექციური დაავადებები - ბატონები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ანგელოზების, სახადის [მინდაძე, 2001:157; ჩირგაძე, 2002:44] სახელით მოიხსენიებდნენ, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ადამიანს გადამდები დაავადება მეორედ აღარ ემართებოდა და მოხდილად ითვლებოდა. გადმოცემით, ბატონები ღვთისაგან გამოგზავნილი ანგელოზები არიან.

აფხაზურად ბატონებს ყვავილს - აცდგრფშა ეწოდება [ჯანაშია, 1968:162], ხოლო აფხაზურ ენაში ინფექციურ დაავადებების ტაბუირებული ზოგადი სახელია **აჰცა**, რომელიც ზუსტი ანალოგია ქართული სიტყვისა ბატონები. **აჰ** აფხაზურად ბატონს ნიშნავს, **აჰცა** კი ამ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. თ. გითოლენდიას აზრით: სახელი **აჰცა** ქართული შესატყვისის კალკირებაა და რაც მთავარია ამ სიტყვას, ქართულის მსგავსად, დღემდე აქვს შენარჩუნებული ორივე მნიშვნელობა - ამოსავალიც და ტაბუირებულიც [გითოლენდია, 2014:48].

აფხაზეთში, როგორც წერილობითი წყაროებით, ისე ეთნოგრაფიული მასალებით სხვადასხვა სახის ბატონებია დამოწმებული და ბატონებს განასხვავებდნენ სირთულის, სიმძიმის მიხედვით. თითოეულ დაავადებას თავისებური სიმპტომი ახასიათებდა, რაც მიუთითებს აღნიშნული დაავადების ფართო დიფერენციაციაზე [ხარჩილავა, 2010:168].

როგორც საქარველოს სხვა კუთხეებში, აფხაზეთშიც ბატონების მფარველი ღვთაებები ანთროპომორფული ნიშნებით იყვნენ დაჯილდოებულნი. ყვავილის „ანგელოზები“ თეთრებში ჩაცმული ღვთაებრივი მხედრების ან მხედარი ქალების სახით არიან წარმოდგენილი, რომლებიც ცხენზე ან ჯორზე სხედან [სახოკია, 1956:27; Аршба, 2007:88-97]. ხალხური შეხედულებით ბატონების მოსვლას სიზმარში იგებდნენ, ერვენებოდათ ძირითადად ყვავილების, თეთრსამოსიანი ადამიანის ან თეთრი ცხენის სახით.

აფხაზები ინფექციური დაავადების - ყვავილის „მფარველს“ ახ-ზოსხანს უწოდებდნენ [Салакая, 1974:24]. საინტერესოა წერილობითი წყაროები, რომელიც მიუთითებს აფხაზეთში ყვავილის ეპიდემის გავრცელებას [Пантюхов, 1867:128; Джанашия, 1960:58; Дзидзария, 1982:197]. ი. პანტიუხოვისა და გ. ჩურსინის აზრით: ყვავილის მფარველი წმინდანი აფხაზეთში შედარებით გვიან გამოჩენილა, რადგან ახ-ზოსხანს სახელით ცნობილი წმინდანის შესახებ აფხაზეთში ჯერჯერობით არანაირი გადმოცემები არ დასტურდება [Пантюхов, 1867:128; Чурсин, 1957:88].

ყვავილით დაავადების დროს, როგორც აფხაზები, ისე ქართველებიც ცდილობდნენ მისი სახელი არ წარმოეთქვათ. ისინი ჩვეულებრივ ამბობდნენ: „სტუმარი გვიბრძანდება“. ორივე ენაში ერთი და იმავე სახიფათო სენის აღმნიშვნელად დადებითი კონოტაციის მქონე „კეთილშობილი“ სიტყვები იხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ სიტყვები ბატონები მისი თანმხლები დაუბრძანდა ზმნითურთ და ბედნიერი ხაზს უსვამს მოწიწებასა და შიშს ამ სნეულებათა მიმართ, მაგრამ დადებით კონოტაციას გამოხატავენ [გითოლენდია, 2014:40-41]. ყვავილი „წმინდა“ დაავადებად ითვლებოდა, პაციენტის განკურნებისთვის დაუშვებელი იყო ექიმის მოწვევა, მედიკამენტის გამოყენება, რაც ბატონების გაბრაზებას და დაავადების გამწვავებას გამოიწვევდა. ძველად ბატონების სამედიცინო მკურნალობა აკრძალული იყო.

ბატონების ოჯახში მობრძანების შემდეგ ავადმყოფს ცალკე იზორილებულ ოთახში აწვენდნენ. საწოლსა და ბალიშზეც წითელს გადააფარებდნენ, რადგან ბატონებს წითელი ფერი უყვართ და მასზე ისვენებდნენ. ოთახში, სასიამოვნო არომატი, მშვიდი მუსიკა და ატმოსფერო სუფევდა, რაც ამშვიდებდა პაციენტის ნერვულ სისტემას [Соловьева, 1995:107]. ძველად საქართველოში ბატონებისათვის

ტკბილეულობით, ფერადი ნაჭრებით და სათამაშოებით შემკული, ხის აყვავებული ტოტით, ე. წ. ბატონების მისართმევით მიდიოდნენ [Бардавелиძე, 1957:91]. აქ სიცოცხლის ხის სიმბოლო ჩანს. ავადმყოფს ენიშნებოდა დიეტა (ეკრძალებოდა ღორის ხორცს, ნანადირევს და ყველს, რომელიც ღორის კუჭის კვეთისგან (ნაწი) მირთმევა). სუფრას შემოუწყობდნენ სკამებს, სკამებზე და მაგიდაზე წითელ ან თეთრი ფერის ნაჭერს გადააფარებდნენ. მაგიდაზე ბატონების სახელზე ცარიელი თეფშები და ჭიქები იდგმებოდა.

ბატონებს თავისი მოხვეწე/მლოცველი ჰყავდათ. მოხვეწეს მოხდილი უნდა ჰქონოდა ბატონები. ბატონების საპატივცემლოდ უნდა ლოცულობდეს, ჩონგურზე, ფანდურზე უკრავდეს, მღეროდეს და ცეკვავდეს. მლოცველი, რომელიც კვირაში სამჯერ მოდიოდა, სუფრაზე ყველაფერს გამოცვლიდა, სანთელს აანთებდა და დაიწყებდა ჩონგურზე დაკვრას, სიმღერას და ცეკვას. ბატონებისათვის სუფრის გაშლის ტრადიცია მთელ საქართველოშია გავრცელებული [Бардавелиძე, 1957:88-89; ჩირგაძე, 2002:50]. როგორც ბატონებისათვის ასევე მათი მომსახურე პერსონალისათვის იშლებოდა სუფრა. გავრცელებულია აზრი, რომ ბატონები ცხენებით მოგზაურობდნენ, ამიტომ აივანზე ვედროთი წყალი, თივა და სიმინდი იდგმებოდა. ოთახის კარი, სადაც ავადმყოფი იწვა ღია უნდა ყოფილიყო. მოზრძანებული ბატონები ამ ღია კარით შედიოდნენ ავადმყოფთან, ხოლო ცხენები იქვე მოისვენებდნენ წყალს დალევდნენ, თივას ან სიმინდს მიირთმევდნენ [ხარჩილავა, 2010:171]. მლოცველი და ოჯახის წევრები ცდილობდნენ ავადმყოფის ყველა სურვილი დაკმაყოფილებინათ, რათა არ გამოეწვიათ ბატონების გაბრაზება.

ყვავილის ღვთაებებთან დაკავშირებული რიტუალური კომპლექსი სხვა რიტუალურ მოქმედებებსაც მოიცავდა. ბატონების დროს ოჯახში იკრძალებოდა ხმაური, ჩხუბი, ტირილი, თოფის სროლა [ასედ, 2018; სახოკია, 1956:24; Яшвили, 1904:67; Соловьева, 1995:107], საკლავის დაკვლა, წყლის ადუღება, პურის გამოცხობა, ცეცხლის დანთება, თამბაქოს მოწვევა, დაბანვა, რეცხვა, კერვა და სხვა მსგავსი სახის საოჯახო საქმიანობა. ოჯახი არაფერს არ გაანათხოვრებდა, რადგან შეიძლებოდა მას ბატონები წაყოლოდნენ. ავადმყოფს ტანსაცმელს გამოუცვლიდნენ, მაგრამ არ გარეცხავდნენ, სანამ ბატონები არ წაბრძანდებოდნენ. სარეცხს ინახავდნენ.

ბატონების გაცილების დღეს ყვავილების ფოთლებიანი წყლით ბანდნენ ავადმყოფს [ასედ, 2018].

ბატონების მოუმსახურებლობა იწვევდა დიდი ხნით ოჯახში მათ დარჩენას და ავადმყოფობის გართულებას. თუ ბატონები გაბრაზდებოდნენ და ავადმყოფი შეწუხდებოდა, სრულდებოდა მოზოდინების რიტუალი. მოზოდინების რიტუალს მლოცველი ასრულებდა. მლოცველი ავადმყოფს გარს უვლიდა და უმღეროდა „იავნანას“. მკურნალ იავნანას ადრესატი იყო ბატონები ან ანგელოზები, რომლებიც ავადმყოფის სხეულს დაეუფლნენ და შეუძლიათ მისთვის ზიანის მიყენება. ამიტომ მათ განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებენ სიმღერაში, რათა მათი დახმარებით ავადმყოფი გამოჯანმრთელდეს. განაწყენებული ბატონები საშიში იყო, როგორც ავადმყოფისათვის, ასევე იმისთვისაც, ვისაც ის მომავალში შეხვდებოდა.

ყვავილით დაავადებულს მუსიკითა და ცეკვით ართობდნენ. ბატონების რიტუალი, როგორც სინკრეტული ხელოვნების ნიმუში, სხვა კომპონენტებთან ერთად, მნიშვნელოვნად მოცავდა ქორეოგრაფიულ ნაწილს, როგორც საფერხულო (შემოვლა, შემოტარება, გარშემოვლება) ასევე საცეკვაო პლასტიკის სახით. საცეკვაო რიტუალი წარმოადგენდა სახადიანი ავადმყოფის განკურნების ქალთა საფერხულო მისტერიას [ალიაშვილი, 2024:78]. ბატონების რიტუალში არსებულ ცეკვებზე და მათ თავისებურებებზე საყურადღებო ინფორმაციებია დაცული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში [ბარდაველიძე, 1953:130; ჩიჯავაძე, 2009:28; მინდაძე, 2013:226], სადაც საკულტო დანიშნულების რელიგიურ-რიტუალური ფერხული და ცეკვები დასტურდება.

ხალხური შეხედულებით საქართველოში წმ. ბარბარე ბატონების დედად, მფარველად ითვლებოდა. ზოგან არა მხოლოდ ბატონების არამედ თვალის დაავადებათა და საერთოდ, ზოგადად, სნეულთა მფარველადაც იყო მიჩნეული [ბარდაველიძე, 1941:39-54; მაკალათია, 1938:111; Сагарадзе, 1899:13; ნებიერიძე 2004:86]. ბატონებით დაავადებული ცუდად რომ შეიქმნებოდა წმინდანის სახელზე შესაწირს შეუთქვამდნენ. აფხაზეთის მოსახლეობა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დადიოდა, სადაც მიჰყავდა შესაწირი მამალი, რომელსაც თავს, ფრთებს და ფეხებს წითლად შეუღებავდნენ, ავადმყოფს შემოავლებდნენ და

ბატონების სახელზე გაუშვებდნენ. საქართველოს სხვა კუთხეებშიც ბატონების სტუმრობა მშვიდობიანად რომ დასრულებულიყო და ბატონი ანგელოზებისათვის გული მოეგოთ სხვადასხვა რიტუალები სრულდებოდა [ნიჭარაძე, 1962: 59; აბაქელია, 1987:237-244].

ბატონებით დაავადებული ადამიანი, ხალხების რწმენით, პირდაპირ სამოთხეში მიჰყავდათ ანგელოზებს. იკრძალებოდა გლოვა, ტირილი და შავების ჩაცმა. აფხაზები ყვავილით გარდაცვლილებს არ გლოვობდნენ და მის დაკრძალვას მუსიკაც ახლდა თან [Чурсин, 1957:09; ხარჩილავა, 2010:174].

ბატონების სტუმრობას თავისი განკუთვნილი დრო ჰქონდა, რის შემდეგ ის უნდა წაბრძანებულიყო. ამისთვის ეწყობოდა სუფრა, რასაც გინოხვამა//გადალოცვა ეწოდებოდა. ამ დღეს იკვლება საკლავი, იხარშებოდა ხოზოკვარი რძეში, ცხვებოდა ხაჭაპურები. მლოცველი ავადმყოფს თავზე საკლავს შემოავლებდა, შემდეგ დაკლავდა და იმართებოდა პურობა. პურობის შემდეგ დარჩენილი სურსათი მიჰქონდათ ახლოს მდებარე მდინარესთან და წყალს ატანდნენ. ტაბლის გაყოლება წყალზე, სახლიდან გარეთ ბოძზე ჩამოკიდება ან გზაჯვარედინზე დატოვება საქართველოს სხვა კუთხეებშიცაა ცნობილი [ზედგენიძე 1946:67; მაკალათია, 1938:111; Соловьева, 1995:110].

საქართველოში ყვავილის აცრის პროცესი გვიან შემოდის, რომელსაც აღწერს გიულდენშტეტი [გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:63]. აცრის ჩატარების შემთხვევაში ყვავილი არ უნდა შეხვედროდა, თუ შეხვდებოდა, მსუბუქად უნდა მოეხადა [ჩირგაძე, 2010:41]. თანამედროვე ყოფაში მიუხედავად აცრისა, არათუ აფხაზეთში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფიქსირდება ინფექციური დაავადება - ბატონები.

ამრიგად, აფხაზეთში ბატონებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, საგრძნობლად განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამოწმებული წეს-ჩვეულებებისაგან. აფხაზეთში ბატონები მკვეთრად დიფერენცირებული იყო. მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების წესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ბატონების სამკურნალოდ არა მარტო ისტორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკული ცოდნა, არამედ ტრადიციული

წმენა-წარმოდგენების საფუძველზე განხორციელებული საკრალური რიტუალებიც გამოიყენებოდა. ბატონებთან დაკავშირებულმა შეხედულებებმა ბოლო დრომდე მოაღწია და მასში არქაულ ელემენტებთან ერთად ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალიც აისახა. ბატონებთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში დღემდე იგრძნობა განსაკუთრებული პატივისცემა, შიში და კრძალვა.

ლიტერატურა:

1. ასედ - ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური, 2018
2. აბაკელია ნ., კოსმოლოგიური სიმბოლოები დასავლეთ საქართველოში, მსე, XXIII, თბ., 1987
3. ალიაშვილი ლ., ბატონების რიტუალის ქორეოგრაფიული ასპექტები, სახელოვნებო მეცნიერებათა დიეზანი, №3 (96), თბ., 2024
4. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბაო), თბ., 1941
5. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
6. გითოლენდია თ., პოლისემია და ომონიმია ქართულში აფხაზური პარალელებითურთ, თბ., 2014
7. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962
8. ზედგენიძე გ., ჯავახეთი, მშობიარობა, ბავშვის აღზრდა, I. თბ., 1946
9. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
10. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981
11. მინდაძე ნ., ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013
12. მინდაძე ნ., რელიგიური სინკრეტიზმი ქართულ ხალხურ მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთ., 2001
13. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბ., 1962
14. ნებიერიძე ლ., ბავშვთა ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის ხალხური ტრადიციები იმერეთში (ყივანახველა), მსე, XXIV, თბ., 2004
15. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956

16. ჩირგაძე ნ., სახადის კულტი სამცხე-ჯავახეთში. კრ.: ამირანი, VII, თბ., 2002
17. ჩირგაძე ნ., სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2010
18. ჩიჯავაძე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009
19. ხარჩილაძე ნ., ბატონები და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული), თბ., 2021
20. ჯანაშია ს., შრომები ტ. IV, გამომცემლობა მეცნიერება, თბ., 1968
21. Аршба С. Г., Народная медицина абхазов, Мос. 2007
22. Баравелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядово-графическое искусство грузинских племен, Тб., 1957
23. Пантюхов И. И., Из записок кавказского туриста, Кавказ. № 27, 28. Тиф., 1867
24. Салакая Ш. Х., Обрядовый фольклор абхазов, Фольклор и этнография. Л., 1974
25. Сагарадзе М., Обычаи и верования в Имерети, СМОМПК, вып. 26. Тиф. 1899
26. Соловьева Л. Т., Грузия. Этнография детства. М., 1995
27. Чурсин Г. Ф., Материалы по этнографии Абхазии. Сух., 1957
28. Яшвили А. О., Народная медицина в Закавказском крае. Тиф., 1904

INFECTIOUS DISEASES AND RELATED BELIEFS IN ABKHAZIA

Nino Kharchilava

Doctor of History, Senior Researcher, Scientific Secretary
of the Institute of Ethnology named after Academician
Giorgi Chitaia of the Tskhum-Abkhazian Academy of
Sciences

E-mail: kharchilavanin@gmail.com

*Presented by the Institute of Ethnology named after Academician Giorgi Chitaia of the
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

Abstract. Among the traditional beliefs and representations of the modern Abkhazian population, the infectious disease batonebi and its associated customs are noteworthy. Batonebi is a general name for infectious diseases, which is widespread in almost all corners of Georgia. The names of pantobia-type diseases were mentioned with modesty in traditional societies, which indicated their divine nature. According to ethnographic materials, batonebi are believed to be angels sent by God. Pantobia has been widespread since ancient times therefore, completely different customs for its care and treatment have survived, which have also undergone certain changes over time.

Customs related to gentlemen, despite certain similarities, differ significantly from customs attested in different parts of Georgia. Diseases were distinguished by their complexity and severity. Each disease was characterized by its symptoms, and in case of complications, the sick person could be left with the disease for several years. Medical treatment of diseases was prohibited. For diseases, a flowering branch of a tree decorated with colorful pieces and toys, the so-called disease, was presented to the diseased person. Here, the symbol of the tree of life can be seen. The ideas about the tree of life and fertility seem widespread, both in Abkhazia and throughout Georgia.

At the behest of the masters, the sick person was confined to an isolated room and tried to satisfy all his desires. The room was decorated with red cloth, and the bed and pillows were covered with red, because the masters loved the color red and rested on it. If the masters became angry and the sick person became upset, a ritual of apology was performed. The customs related to the masters, despite some similarities, differ significantly from the customs attested in different parts of Georgia. In Abkhazia, the masters were sharply differentiated.

Keywords: *Infectious diseases, batonebi, Abkhazia.*